ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲙᲝᲛᲔᲠᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 89 (18631) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 16 ᲐᲠᲘᲚᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

## ᲓᲦᲔᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐ!

## ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲤᲚᲘᲡᲐᲛᲑᲠ, ᲮᲝᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲐᲛ ᲮᲝᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲔᲗᲐ ᲡᲐᲠᲗᲠᲝ-ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝ ᲞᲐᲢᲘᲠᲘᲝᲢᲘᲡᲛᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘᲪ ᲡᲐᲛᲐᲛᲘᲜᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲠᲘᲝᲢᲘᲡᲛᲘᲡ ᲠᲘᲜᲐᲡᲬᲘᲠᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲠᲝᲪᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1982 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲯᲐᲛᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲪᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲜᲐᲠᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲜᲐᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲜᲐᲠᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲘ

# ხუთწლედის ორიენტირებით

## საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

**ჟიჯნები,** რომლებსაც თბილისის მშრომელებმა მიაღწიეს სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, შეესაბამება, მთელ რიგ შემთხვევებში კი აღემატება ხუთწლედის საკონტროლო ციფრებს. მაგრამ მისი შუაგული წელი, რომელიც ბევრად განსაზღვრავს მთლიანად ხუთწლედის დავალებათა შესრულების წარმატებას, როგორც ეს ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე, მოითხოვს უფრო ეფექტიან და ორგანიზებულ შრომას. ამასთან თბილისელებს, ისევე როგორც საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საყოველთაოსახალხო დღესასწაული — გეორგიესკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავი აღინიშნონ ახალი მიღწევებით, შეეგებონ მას მნიშვნელოვანი შრომითი საჩუქრებით.

13 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ქალაქ თბილისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულების მიმდინარეობა და პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები დამატებითი რეზერვების ძიებისათვის, 1983 წლის დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის შრომითი კოლექტივების დარაზმვის საქმეში.

მომხსენებელმა — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ზ. შ. მესხიშვილმა და ორატორებმა, რომლებმაც გააანალიზეს მუშაობაში დადებითი შედეგების განმსაზღვრელი ფაქტორები, მთავარი ყურადღება მიაპყრეს დასახული მიზნების მიღწევის ყველაზე ქმედითს საშუალებებს. ეს ნაკარნახევი იყო იმით, რომ ყველა უბანზე მთლიანად როდი შეესაბამება საქმის ვითარება საწარმოს სფეროს დინამიკური განვითარების მოთხოვნებს.

— სერიოზული ამოცანა —მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე თბილისში სამრეწველო წარმოების მოცულობის 31,6 პროცენტით გადიდება — წყდება ახალი საწარმოო სიმძლავრეების დროული ამოქმედებისა და ათვისების, მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და მათი შესაძლებლობების გაფართოების გზით, და, რაც მთავარია, მოქმედი წარმოების უფრო რაციონალური გამოყენების, სრული დატვირთვის გზით. ამ მიმართულებით მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები, მაგრამ ზნირად ჭიანურდება ზოგიერთი საწარმოს ამოქმედება და რეკონსტრუქცია, სჭვები კი თავიანთ შესაძლებლობებზე ნაკლებად მუშაობენ. პლენუმმა პარტიის შესაბამის რაკომებს, პირველად პარტორგანიზაციებს მიზნად დაუსახა ყოველი ღონე იხმარონ თითოეული საწარმოს დაგეგმილი საპროექტო სიმძლავრით ამოქმედებისათვის.

პრინციპულად გააკრიტიკეს იმ საწარმოთა ხელმძღვანელობა, რომლებმაც დაუშვეს სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევა, არ უზრუნველყვეს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა შესრულება, განსაკუთრებით იმ საწარმოებისა, რომლებიც ჩამორჩებიან პროდუქციის, უწინარეს ყოვლისა სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს ფაქტები განსაკუთრებით შეუწყნარებელია საერთო დადებითი სიტუაციის ფონზე, რომელიც შექმნა ქალაქის მრეწველობის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გეგმის შესრულებაში.

წელს ბევრი რამ უნდა გააკეთონ მშენებლებმა: მათ უნდა აითვისონ სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში სამუშაოთა გაზრდილი მოცულობანი, საექსპლოატაციოდ გადასცენ დაახლოებით 500 ობიექტი. წლის პირველ თვეებში გადაჭარბებით შესრულდა სასაქონლო-სამშენებლო პროდუქციის მოცულობისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, მათ შორის სანიაღვარ მშენებლობაში შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის დავალებები. გეგმის გადაჭარბებით ათვისებულია ცხრა მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდება. არ არიან ჩამორჩენილი ორგანიზაციები, მაგრამ პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით არ შესრულებულა ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა ამასთან ისეთ პირობებში, როცა კვარტალური გეგმა არ აღემატებოდა საშუალო თვიური პროგრამის მოცულობას. პლენუმმა საიჯარო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მოსთხოვა უკვე ნახევარი წლის შედეგების მიხედვით დაძლიონ ჩამორჩენა.

განსაკუთრებული შემშფოთება გამოთქვა სანინაო მშენებლობაში შექმნილი საქმის ვითარების გამო, სადაც ამოქმედების გეგმა არ შესრულებულა. ამაში მნიშვნელოვანწილად ბრალი მიუძღვის „თბილისკალაქმშენის“ გაერთიანებას, რომლის ხელმძღვანელობა პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს.

პლენუმმა განსაზღვრა შექმნილი ვითარების გამოსწორებისათვის პარტიული კომიტეტების ამოცანები და საკმაოდ მიიჩნია მეტად მოკკითხონ იმათ, ვისი მიზეზითაც ჩაიშალა მუშაობა.

პლენუმზე თითოეული გამოსვლის, აღძრული საკითხების აზრი და მიმართულება, საბოლოო ანგარიშით, არის ზრუნვა მშრომელი ადამიანისათვის, თბილისის მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ათვის, რომლის საფუძველია ქალაქის ეკონომიკის ყოველმხრივი განმტკიცება, მისი წვლილის გადიდება რესპუბლიკის, ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

— როგორც მრეწველობასა და მშენებლობაში, ისე მომსახურების სფეროშიც, ხაზი გაუსვეს პლენუმის მონაწილეებმა, — უნდა ამაღლდეს პირველადი პარტორგანიზაციების როლი, მათი მებრძოლურობა და ინიციატივა. თითოეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გამოავლინოს თავი როგორც შრომითი კოლექტივის აქტიურმა პოლიტიკურმა ბირთვმა, მტკიცედ და განუხრელად განახორციელოს აქ პარტიის ხაზი, რაც განსაკუთრებით აღინიშნა პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის საკითხებისადმი მიძღვნილ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა თბილისში. (საქინფორმი).

## „კომუნისტის“ მრგვალი მაგიდა — „პირველადი პარტიული ორგანიზაცია და გაზეთი“

**ბოლო შეხვედრა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთა ერთ ჯგუფს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ჰქონდა. მრგვალ მაგიდასთან საუბარი მიეძღვნა თემას „პირველადი პარტიული ორგანიზაცია და გაზეთი“. სტუმრებმა და მასპინძლებმა განიხილეს საერთო წარმატებისათვის ბრძოლაში პარტიის ძირეული რგოლების როლისა და ავტორიტეტის შემდგომი გაზრდის საკითხები, ხაზი გაესვა იმ უდიდეს მნიშვნელობას, რაც ენიჭება პრესას პირველადი პარტორგანიზაციების ავტორიტეტის, მათი ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებაში.**

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ამ კონფერენციაზე კონკრეტული საქმეებით მივიდა. ამიტომაც, როგორც ეს არაერთხელ აღინიშნა კონფერენციის მუშაობის დღეებში, შემთხვევითი არ ყოფილა მისი მოწყობის ადგილად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის შერჩევა.

— ბრძოლას, პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის გაძლიერებისათვის უკვე ათწლიანი ისტორია აქვს, — აღნიშნა თავის გამოსვლაში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა გ. ბედნეიშვილმა, — ახალი ეტაპი, ძირფესვიანი გარდაქმნები ჩვენი პარტიის ძირეულ რგოლებში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე საკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ცნობილი დადგენილების გამოსვლის შემდეგ დაიწყო.

უკვე 1973 წელს რესპუბლიკაში მოწყობილი საანგარიშო-საარჩევნო კრებების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მსჯელობს.

ამ პლენუმის სიმაღლიდან მაშინ ასე დავინახეთ საქართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრების საერთო, ზოგადი სურათი: უინიციატივობა, გაუბედაობა მწვავე პრობლემების გადაწყვეტისადმი მიდგომაში, ხშირად ფორმალიზმი და შტამპი როგორც შინაპარტიულ, ისე იდეოლოგიურ და აღმზრდელობითს მუშაობაში. პლენუმმა მკაცრად გააკრიტიკა ის დამკვიდრებული ტენდენცია, როცა შრომითი კოლექტივების სამეურნეო ხელმძღვანელები ეფექტიანი ცდილობდნენ პარტიულ ორგანიზაციათა მდივნებად აერჩიათ ადამიანები, რომლებიც უსიტყვოდ დაჰყვებოდნენ მათ ნება-სურვილს, არ ექნებოდათ საკუთარი, ნამდვილი კომუნისტური პრინციპი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმე მხოლოდ სტატისტიკა როდია. მთავარი ის კი არ არის, თუ რამდენი კაცი და რამდენი ცუდი მდივანი იყო რესპუბლიკაში. მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ თუნდაც ერთი, თავის თავში უარყოფითი ტენდენციის მატარებელი ფაქტის არსებობა, იმგვარი ფაქტისა, რომელიც შემდგომ შეიძლება განივრცოს, განზოგადდეს და მოვლენად იქცეს, მეტისმეტად საშიში იყო და ეს ერთი წუთითაც არავის გამორჩენია მხედველობიდან. სათამაშოების ფაბრიკის მაგალითს მოვიტან: აქ გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო, დირექტორიც დირექტორობდა ვითომ (ყოველ შემთხვევაში დოკუმენტებს ხელს აწერდა), ორდენებით და მედლებით მკერდდამშვენებული პარტიული კომიტეტის მდივანიც თავის ადგილზე მოჩანდა, ასე განსაჯეთ, გეგმებიც და სოციალისტური ვალდებულებებიც სრულდებოდა და თითქოს ასაღელვებელი არაფერი იყო. მაგრამ, თურმე, ეკითხეთ საამედო გარემოს მიმდასულ სხვა რამ ტრაიტებდა. კერძოდ, ყვაოდა და იფურჩქნებოდა საქმოსნობა. მაგრამ ფარდა აიხადა, დასანახი ყველამ დაინახა. პრინციპი, რომლითაც მაშინ რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა მოქმედებდა — ნაკლისათვის თვალის თამამად გასწორება, მისი გამომზეურება და აღმოფხვრისათვის შეურიგებელი ბრძოლა — ამ საქმეშიც დომინირებდა და გაიფარა „კომუნისტშიც“ საჭიროებისამებრ მის მწვავე აქტუალურ პუბლიკაციებსა თუ საქმიან, მეთოდიკურ სტატიებში მეტ-ნაკლებად ისახებოდა ეს მოღვაწეობა.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პირველადი პარტიული ორგანიზაციების თაობაზე საუბარმა. ეს ის პერიოდია, როდესაც პირველადმა პარტორგანიზაციებმა უკვე იგრძნეს თავიანთი ძალა, დაინახეს ის დიდი მისიაც, მათი ავტორიტეტის ამაღლებას რომ მოყვებოდა თან. გამოიკვეთა ახალი ტენდენციაც — ახლა უკვე აღარ კმაროდა დამყოლ, „უკონფლიქტო“, „მორჩილ“ მდივნებზე უარის თქმა. პარტიულ ორგანიზაციებს უკვე დიდი, მასშტაბური ხასიათის ამოცანები დაესახათ, რაც ნელ-ნელა ტენდენციად იქცა.

ყოველივე ეს მეტისმეტად რთული, ძნელი პროცესი იყო. რესპუბლიკაში მომხდარი სეროზული გარდაქმნები, სასიკეთო ძვრები სხვა სფეროში უფრო თვალსაჩინო გახლდათ. ცხადია, რა დიდია ინერციის ძალა და მას ამ შემთხვევაშიც თავისი გაჰქონდა. ამით უნდა აიხსნას ის კრიტიკა, გაზეთ „პრავდისაგან“ რომ მივიღეთ 1977 წლის ნოემბერში. მაშინ სხვა ნაკლოვანებებთან ერთად პირველადი პარტორგანიზაციების ცხოვრების ამსახველი სიღრმისეული პუბლიკაციების ნაკლებობა გვისაყვედურეს, თუმცა არც ის პოზიტიური მომენტები გამორჩენიათ, ამ საქმეში რომ გვქონდა.

ნაბიჯ-ნაბიჯ, მისხალ-მისხალ გროვდებოდა დადებითი გამოცდილება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში. ჩვენს გაზეთში ამ მხრივ საინტერესო პუბლიკაციები გაჩნდა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების პერიოდში. „როგორ, რით ვხვდებით ყრილობას?“ — ამ რუბრიკით ქვეყნდებოდა წერილები და კორესპონდენციები პირველადი პარტიული ორგანიზაციებიდან.

ასეთი ფართო საუბარი, მეტად პრინციპული სჯა-ბაასი კი გაზეთის ფურცლებზე დაიწყო თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქღვინომანქანის“ მოწინავე მუშის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის „მოთა ჯორაიძის“ საკმაოდ გაბედული წერილის შემდეგ, რომელსაც ასობით საქმიანი გამოხმაურება მოჰყვა.

მაგრამ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი უყურადღება ჩვენმა გაზეთმა განსაკუთრებით გააძლიერა პარტიის XXVI ყრილობის შემდეგ, ყრილობისა, რომელმაც ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა პარტიის ძირეული რგოლების როლისა და ავტორიტეტის შემდგომი გაზრდის დიდი მნიშვნელობა.

— ამ პერიოდში უკვე, — გაანგრძობს მომხსენებელი, — პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებული მასალების გაშუქების დროს გაზეთი ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ იმგვარი სახის მოღვაწეობაზე, რომელსაც თვალსაჩინო შედეგები მოყვება, ესე იგი კონკრეტული უკუგება აქვს, არამედ მორალურ-ზნეობრივი ხასიათის პრობლემებზეც. ვცდილობთ საჯარო მსჯელობისათვის გამოვიტანოთ თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო საკითხები. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის V პლენუმის წინ ჩვენს მკითხველებს საშუალება მივეცით გაზეთის ფურცლებზე გამოეთქვათ საკუთარი აზრი, რაც კონკრეტულად ზოგიერთი „სახის დეფიციტური სურსათის თითო სულზე განსაზღვრულ რეგლამენტაციას გულისხმობდა. მათ შორის, ვინც იმ დღეებში თავისი აზრი მოგვაწოდა, იყვნენ სხვადასხვა ასაკის, მდგომარეობის, პროფესიის ადამიანები, დიასახლისები. ისინი ერთსულოვანნი იყვნენ და ამას ანგარიში გაუწია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნულმა პლენუმმა.

ამ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისათვის მზადების პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის კომუნისტებს მიმართა სპეციალური წერილით, რომელსაც ასობით კაცი გამოეხმაურა.

უკანასკნელ ხანს ჩვენი პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და პარტკრებებზე სულ უფრო მეტი კომუნისტი გამოდის. ამ პრაქტიკას გაზეთიც ახალისებს, მაგრამ არა მარტო ახალისებს, ორგანიზატორულ სამუშაოსაც ასრულებს. ამის მაგალითად მარტო ასეთი ფაქტიც გამოდგება: „კომუნისტის“ რედაქციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო, რომ სანიმუშოდ მომზადებულიყო ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში ღია პარტიული კრება თემაზე „ახალი ხუთწლედი ჩემს საწარმოში“. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ქარხნის პროდუქციაზე ქვეყანაში დიდი მოთხოვნილებაა, რომ ადვილად სამართავი მცირე მექანიზაცია აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული მთიან და ძნელადმისადგომ ადგილებშიც. და აი, აქ კრება დაიწყო ამ საკითხებზე ჯერ პარტჯგუფებში და საამქრო ორგანიზაციებში, შემუშავდა რეკომენდაციები და მერე ქარხნის საერთო კრებამ მეტად საქმიანი და კონკრეტული ღონისძიებანი დასახა. ერთი სიტყვით, ამ ერთი ღია კრების განსახილველ საკითხზე სხვადასხვა ფორმით ქარხნის თითქმის ყველა მუშაკმა მიიღო მონაწილეობა. ეს, რა თქმა უნდა, შემდეგ გაზეთის ფურცლებზე განვაზოგადეთ და მას მთელი გვერდი მივუძღვნეს.

სტუმართა ყურადღება დაიმსახურა რედაქციის თანამშრომელთა საუბარმა, რომელიც პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან გაზეთის კავშირურთიერთობის სხვადასხვა ფორმას, აგრეთვე კონკრეტულად იმ საქმიანობას შეეხებოდა, რომელიც შარშან აპრილში გამართული პარტორგანიზაციების მდივნების პირველი რესპუბლიკური კრების შემდეგ გასწია რედაქციის კოლექტივმა.

— შეიძლება ითქვას, — თქვეს საუბრის მონაწილეებმა, — რომ „კომუნისტის“ ფურცლებზე არასოდეს ყოფილა ისეთი სიუხვე და მრავალფეროვნება პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრების გაშუქების საკითხებში, როგორც დროის აღნიშნულ მონაკვეთში.

კრების მასალები, მისი წინადადებანი, დასკვნები და რეკომენდაციები ჰეშმარიტ სახელმძღვანელოდ, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მთელი მნიშვნელოვანი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ქვაკუთხედად აღიქვეს ყოველ ქალაქსა და რაიონში, თითოეულ პარტიულ ორგანიზაციაში. რედაქცია ცდილობს პარტორგანიზაციათა ცხოვრების გასაშუქებლად გამოიყენოს რაც შეიძლება საინტერესო — როგორც ნაკადი, ისე ახალი ფორმები.

მაგალითად, ჩვენ არ ვიწუნებთ კარგა ხნის წინათ თითქმის ყველა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო თუ რაიონულ გაზეთში დამკვიდრებულ რუბრიკებს „პირველადი ორგანიზაციის მდივნის ტრიბუნა“, „პარტბიუროს მდივნის ტრიბუნა“, „პირიქით კვლავაც ვიყენებთ, მაგრამ მასთან ერთად დავამკვიდრეთ სხვაც: „პირველადის როლი და ავტორიტეტი“, „კომუნისტი ამბობს სიტყვას“ და სხვ. ესაა რუბრიკა არსებითად ყველა კომუნისტისა — არჩევითი ორგანოს წევრებისაც და „წმინდა“ პარტიული მუშაკებისაც (პარტიული კომიტეტის მდივანი, განყოფილების გამგე, ინსტრუქტორი), განსაკუთრებით კი ათასობით რიგითი კომუნისტისა, მუშისა და გლეხისა, ინტელიგენციის წარმომადგენლისა, — რომელიც თავისი პარტორგანიზაციის ავ-კარგზე მსჯელობს, მკითხველს აცნობს დადებითს გამოცდილებას, ეძიებს რეზერვებს და სხვ.

ამასთან გამოყენებულია რუბრიკებიც: „პარტორგანიზაცია და ეკონომიკა“, „კომუნისტი და საყოფაცხოვრებო პროგრამა“, „აქტიურობა კომუნისტის თვისებაა“. უკანასკნელ ხანს, უფრო სწორად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შარშანდელი ნოემბრის პლენუმის შემდეგ, შემოვიღეთ რუბრიკა „პარტორგანიზაცია და დისციპლინა“.

მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევს გაზეთის მიერ სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ შემოღებული სპეციალური გვერდები საერთო სათაურით: „პირველადი ორგანიზაცია — პარტიის საფუძველი“. კონფერენციის დღეს მკითხველმა მეთექვსმეტე ასეთი გვერდი მიიღო. თითოეული მათგანი უმთავრესად კონკრეტულ თემას ეძღვნება, თუმცაღა ზოგიერთში ერთგვარად სინთეზურად იყო მოცემული პარტიული ცხოვრების სხვადასხვა საკითხი. ყოველივე ამაზე, აგრეთვე პირველადთა როლის კიდევ უფრო გაძლიერებასა და გაზეთის საშუალებით მათდამი პრაქტიკული დახმარების სხვადასხვა ფორმაზე ისაუბრა რედკოლეგიის წევრმა, რედაქციის პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგემ ა. ზურაშვილმა.

— ეს გვერდები მკითხველს იმიტომაც მოსწონს, — აღნიშნა მან, — რომ მოწინავე გამოცდილების განზოგადებასთან ერთად მასში ქვეყნდება კრიტიკული მასალებიც, საინტერესო ინფორმაციები, კორესპონდენციები, პასუხები კომუნისტთა შეკითხვებზე და სხვ.

მრგვალი მაგიდის საუბრის ფარგლები გაფართოვდა. სტუმრებმა — სარატოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა ი. ბარანოვმა, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ გ. დიგაიმ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პარტიული მშენებლობის კათედრის პროფესორმა ი. დერბენიოვმა ისაუბრეს გაზეთის და მკითხველის ურთიერთობის ფორმებზე და დაინტერესდნენ კონკრეტულად ამ ურთიერთობის რომელ ფორმებს ეძლევა უპირატესობა გაზეთ „კომუნისტში“.

იურისტებით დაკომპლექტებული საზოგადოებრივი მისალები, რომელიც რედაქციაში ფუნქციონირებს, ამ ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ფორმათაგანია. აქედან შესანიშნავად გვებულობთ ჩვენი მკითხველების განწყობილებას, მათს სულსკვეთებას.

კარგი შედეგი მოგვცა მკითხველთა კონფერენციებმა ადგილებზე, აგრეთვე რედაქციის პასუხისმგებელი მუშაკების გასვლითმა მიღებებმა სხვადასხვა საწარმოსა თუ დაწესებულებაში.

მუშაობა სიტყვის და საქმის ერთიანობით ფასდება. ეს ცნობილი ფორმულა რამდენიმე თვალსაზრისით განიხილეს საუბრის მონაწილეებმა. სტუმრებმა — სკკპ ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტის მდივანმა ი. ლიტვინოვმა, პარტიის სემიპალატინსკის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ს. რამაზანოვმა, ულიანის კომპარტიის უმაღლესი პარტიული სკოლის პარტიული მშენებლობის კათედრის გამგემ ვ. ორლოვმა და სხვებმა ყურადღება გაამახვილეს, ერთი მხრივ იმაზე, თუ როგორ უზრუნველყოფენ ამ ერთიანობას პირველადი ორგანიზაციები და როგორ აისახება ყოველივე ეს გაზეთში, ხოლო, მეორე მხრივ, თავად პრესა როგორ აღწევს თავისი გამოსვლების ქმედითობას, რედაქცია კრიტიკული გამოსვლის შემდეგ კმაყოფილდება ადგილიდან მოსული პასუხებით, თუ თავად მისდევს ბოლომდე დაწყებულ საქმეს.

სიტყვა „მოქმედება“ ხშირად სხვადასხვაგვარად ესმით. სამწუხაროდ ხან იგი მოჩვენებითი ფაციფუცის გამოხატულება უფროა, ვიდრე ნამდვილი საქმიანობისა. მისი გაგება კი მხოლოდ და მხოლოდ ერთია — იგი დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანისათვის მკლავებდაკაპიწებული ბრძოლაა.

აღინიშნა, რომ ამ ბოლო ხანს მუშაობის სტილში მტკიცედ დამკვიდრდა დადგენილების კონტროლის მრავალი ფორმა. კომუნისტები კვლავ და კვლავ უბრუნდებიან ერთხელ წამოყენებულ წინადადებებს, სანამ ვერ საბოლოო გადაწყვეტას არ მიაღწევენ. ყოველგვარი სიახლე ამ საქმეში უმალ პოულობს ასახვას გაზეთის ფურცლებზე. ეს ეხება სპეციალური რუბრიკებიც, „მოწმებთ შესრულებას“ და „გადაწყვეტილების ავტორიტეტი“. ამასთან შესაბამისი განყოფილების მუშაკები ცდილობენ სხვადასხვა ფორმით, საინტერესოდ მიაწოდონ მასალა მკითხველს. სამაგალითოდ ერთი შემთხვევა გაიხსენეს: შარშან გაზეთმა რუბრიკით „სიტყვა ეკუთვნის პარტბიუროს მდივანს“ დაბეჭდა სტატია — „მთხოვეს ნუღარ იტყვიო“, სადაც ავტორი აღნიშნავდა, რომ პარტიულ კრებაზე გამოსვლის წინ საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელებმა სთხოვეს ნურაფერს იტყოდა მთელ რიგ ნაკლოვანებებზე, რადგან მათი მიზეზი ძირითადად ბევრი სამინისტროს და უწყების უგერგილო მუშაობა იყო. პარტბიუროს მდივანმა მარტო კრებაზე კი არა, პრესაშიც გამოიტანა სათქმელი, რომელსაც რედაქციამ ბოლომდე მისდია და საქმე ძირითადად გამოსწორდა.

წერილის ავტორის გულწრფელმა ტონმაც განაპირობა ის მრავალი გამოხმაურება, მის გამოქვეყნებას რომ მოყვა.

თვითკრიტიკით აღინიშნა ისიც, რომ ჟურნალისტები ყოველთვის ვერ აწერხებენ ბოლომდე თავად მისდევნენ წამოწყებულ საქმეს, და გამოთქვეს რწმენა, რომ მომავალში ეს ხარვეზი მუშაობაში უთუოდ შეივსება.

— როგორ საფუძველზე აიგება ამა თუ იმ საწარმოს თუ დაწესებულების ხელმძღვანელის და პარტიული ორგანიზაციის მდივნის ურთიერთობა? — დასვეს საკითხი ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლის რექტორმა ტ. კოჩარლიმ, დაუგავპასუხის ამძრავი ჯაჭვების ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ე. პეტლახმა და თურქმენეთის კომპარტიის კრასნოვოდსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მიტრონმა და კითხვის ერთადერთი სწორი პასუხი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის რ. თხელიძის ნათქვამი — მხოლოდ და მხოლოდ პრინციპულ საფუძველზეო — თავადვე მოიყვანეს.

ესეც უკვე ტენდენციაა, რადგანაც სხვაგვარ საფუძველზე აგებულ ურთიერთობათა მავნე შედეგი ყველა ჩვენგანისთვის ნაცნობია. ამ თემაზე ბევრი საინტერესო სტატია გამოქვეყნდა სპეციალური რუბრიკით — „ფიდანი და დირექტორი“.

როდესაც პრინციპულ დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ, ეს მარტო სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელის დამოკიდებულებას არ ეხება. ეს უფრო ფართო ცნებაა და საქმისადმი, დაკისრებული მოვალეობისადმი მიდგომას, საერთოდ კომუნისტის პოზიციას გულისხმობს. დღეს, ამ ეტაპზე, როდესაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები მართლაც კომუნისტური პრინციპულობით, გაბედულად ეკიდებიან მასშტაბურ პრობლემებს, ადგილებზე წყვეტენ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებს, უდიდესი როლი აკისრიათ პრესის მუშაკებსაც. ეს როლი ასეა ფორმულირებული ამას წინათ გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ მეთაურ სტატიაში: რედაქციის „პარტორგანიზაციების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ხელს უწყობდნენ ჟურნალისტთა კადრების სწორ განაწილებას, უზრუნველყოფდნენ კოლექტივებში მომთხოვნელობის ატმოსფეროს, ავითარებდნენ კრიტიკასა და გამოსვლების მომზადებისას პარტიული პრინციპულობის, კომპეტენტურობის მაგალითს, ეხმარებოდნენ თავიანთ კოლეგებს უფრო ყოველმხრივ ანალიზებდნენ აქტუალურ პრობლემებს, პარტიულად, გაბედულად და მგზნებარედ იბრძოდნენ ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის“.

აღინიშნა რა თბილისის საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის განსაკუთრებული მნიშვნელობა, მისი შემოქმედებითი ხასიათი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგემ ვ. პ. პოლიანიჩკომ „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეთა სახელით გაზეთ „კომუნისტის“ მუშაკებს უსურვა უფრო თამამად, უფრო აქტიურად ჩაბმა ცხოვრების შუაგულში, იქ, სადაც უშუალოდ წყდება საქმის ბედი, უფრო მეტი სიღრმე, მეტი მოქალაქეობრივი ღელვარდობა მიანიჭონ იმ პრობლემებს, რომლებსაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები შესჭიდებიან, ერთი სიტყვით, ახალი შემოქმედებითი ძიება იმ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებაში, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ეწევა რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის და რომელსაც ჰქვია მოღვაწეობა ჩვენი ცხოვრების ყველა მახნჯი გამოვლინების, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ.

**საუბარი „მრგვალ მაგიდასთან“ ჩაიწერა ბ. ხარებავშვილმა.**

**ᲪᲙᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲣᲐᲒᲣᲚᲘᲗ**

**ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: გაზეთ „კომუნისტის“ მრგვალ მაგიდასთან შეხვედრის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.**

**Ბ. ᲮᲐᲠᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.**

# ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲛᲔᲠᲩᲐᲘᲝᲑᲐᲨᲘ

**ᲩᲐᲘᲡ** ფოთლის წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და რენტაბელობის ამაღლების გადამწყვეტი ფაქტორია პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის სათანადო რეზერვების გამოვლენა. მაგალითად, მთავარი ფაქტორია შრომის მწარმოებლობის გადიდება. ამის მიღწევა კი შეიძლება არსებული ტექნიკის სრულყოფით და მისი უფრო ეფექტიანი გამოყენებით, მეცნიერების მიღწევების დროულად დანერგვით, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებით, შრომის სწორი ორგანიზაციითა და სხვა.

მეცნიერული ასპექტით კვლევისას უნდა გამოინახოს სიახლის კრიტერიუმი და ყველა სიახლე მეცნიერული არგუმენტებით უნდა იყოს დადასტურებული. ამ მიზნით ჩაის ფოთლის წარმოებაში არსებული ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისა და ინდუსტრიული ტექნოლოგიის პროცესების დანერგვით მეჩაიეობის ისტორიაში პირველად ზუგდიდში დავიწყეთ ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის ორცვლიანი სადღეღამოსო მუშაობის ახალ მეთოდზე გადაყვანა.

კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ლენინის ორდენოსანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯ. გუგუნია) 1981 წელს მანქანებით კრეფის საგეგმო დაგალება 840 ტონა იყო. ფაქტობრივად მოიკრიფა 1030,8 ტონა ჩაის ფოთოლი. ამ წარმატებებში აღსანიშნავია ორ ცვლად მომუშავე მექანიზატორთა შრომითი შემართება. ერთ ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს“ 18 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში უნდა ემუშავა და ეს მაშინ, როდესაც კოლმეურნეობაში თითოეული ჩაის საკრეფი მანქანა 9,6 ჰექტარ პლანტაციაში მუშაობდა. მანქანაზე მუშაობდნენ მექანიზატორები დ. დარასელია და ვ. ნაჭყებია. ღამით სამუშაოს მაღალხარისხოვნად შესრულებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მანქანას გაუკეთდა წინა და უკანა შუქნათურები.

ერთ მანქანას ორი მექანიზატორი ამუშავებს. ერთი დილის 6 საათის ფარგლებში იწყებს მუშაობას. საღამო ჟამს, 5-6 საათზე მანქანას მოიყვანს სრულ წესრიგში და 6-7 საათზე მას მეწყვილე შეცვლის. დღის ცვლას ჰყავს თავისი დამხმარე მუშები, რომლებიც მექანიზატორს უქმნიან ყველა საჭირო პირობას ნორმალური მუშაობისათვის. ასევე, ღამის ცვლის დამხმარე მუშები პლანტაციაში მუშაობენ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტორსაც, რომ ყველანი საერთო საქმეს აკეთებენ, აქ უმიზეზოდ გაცდენა გამორიცხულია, რადგანაც ეს ცვლის შეფერხება ორივე ცვლაზე ახდენს გავლენას.

მიუხედავად ჭირვეული ამინდებ

# მოვუმზადოთ არმიას ღირსეული ცვლა

**ჩვენს** რესპუბლიკაში საუკეთესო პირობებია შექმნილი იმისათვის, რომ ჭეროიკულ-პატრიოტულ და ინტერნაციონალურ საფუძველზე აღვზარდოთ ახალგაზრდობა, რომელიც ჯარში სამსახურისათვის ემზადება.

საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო დიდების 200-ზე მეტი მუზეუმი, 4.500-ზე მეტი ოთახი და კუთხეა, მომავალი მეომრის 600-ზე სამხედრო-პატრიოტული კლუბი, უნივერსიტეტი და ლექტორიუმია. სამხედრო სამსახურისათვის ჭაბუკების მომზადების თავისებური ცენტრი გახდა კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე. მრავალი წელია საქართველოს კომკავშირი, თბილისის ორჯონიკიძის რაიონისა და ფოთის მშრომელები შეფობენ კოსსოდარის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის მოტომსროლელთა დივიზიას და სამხედრო ხომალდებს „კრასნი კავკაზს“ და „კომსომოლეც გრუზიას“. ყოველწლიურად საუკეთესო ახალწვეულები — ორი ქალაქის წარმომადგენლები კომკავშირული საგზურებით იგზავნებიან ამ ქვეგანაყოფებში სამხედრო სამსახურისათვის.

მთაზარდი თაობის პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის ფართოდ გამოიყენება მახარაძის მე-18 არმიის საბრძოლო დიდების რესპუბლიკური მუზეუმის, ხალხთა მეგობრობის და საქართველოს კომკავშირის ისტორიის, ამიერკავკასიის სამხედრო და სასაზღვრო ოლქების, თბილისის უმაღლესი საარტილერიო მეთაურთა სასწავლებლის, გორის საბრძოლო დიდების მუზეუმების დიდი შესაძლებლობანი, რომლებმაც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე თავიანთი ღონისძიებებით მოიცვეს 900 ათასზე მეტი კაცი.

ამ ბაზაზე ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით, სამხედრო კომისარიატები პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებთან, დოსაააფისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად გამიზნულ მუშაობას ეწევიან, რაც საშუალებას იძლევა მოვამზადოთ ახალგაზრდობა სოციალისტური სამშობლოს საიმედო დამცველებად. მაღალ შეფასებას იმსახურებს ახალგაზრდობის ჭეროიკულ-პატრიოტულ აღზრდაში 34 საბჭოთა კავშირის გმირის, 13 დიდების ჯარისკაცური ორდენის სრული კავალერის, 32 თადარიგისა და გადამდგარი გენერლის, დიდი სამამულო ომის ვეტერანთა მრავალრიცხოვანი რაზმის მონაწილეობა.

სამხედრო-პატრიოტული მუშაობის დიდმნიშვნელოვანი უბანი და ჯარში სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადების შემადგენელი ნაწილია მისი საუკეთესო წარმომადგენლების თვისებრივი შერჩევა და მომზადება სამხედრო სასწავლებლებისათვის, რაც რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. უნდა ითქვას, რომ ამ მოკანონის გადაწყვეტის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1977 წელს მიიღო დადგენილება „სამხედრო სასწავლებლებთან ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერების შესახებ“.

ბევრმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ, ხელმძღვანელობდა რა ამ დადგენილებით, ფართო მუშაობა გაიჩაღა სამხედრო სასწავლებლებისათვის კანდიდატების შესარჩევად. მაგალითად, თბილისის ლენინის, კალინინის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის და საქართნო რაიონების, ბორჯომის, ბოლნისის, გარდაბნის, რუსთავის, თელავის, ტყიბულისა და წულუკიძის რაიონების და რესპუბლიკის ქალაქების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს სამხედრო სასწავლებლებთან და კომისარიატებთან. მათთან ერთად საინტერესო ღონისძიებებს აწყობენ ახალგაზრდობისათვის სკოლებსა და საწარმოებში, სადაც იმართება შეხვედრები წარმომაღლი მოწინავეებთან, შეიარაღებული ძალების ვეტერანებთან, ახალგაზრდა ოფიცრებთან და სწავლის ფრიადოსან კურსანებთან. ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა თბილისის № 64, 66, 78, 83, 116, 136 და 138 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გამოცდილება, სადაც ყოველწლიურად 15-20 კურსდამთავრებული ირჩევს ოფიცრის პროფესიას და სამხედრო სასწავლებელში შედის. განსაკუთრებით ნაყოფიერ სამხედრო-პატრიოტულ და თავდაცვით-მასობრივ მუშაობას ეწევიან თბილისის უმაღლეს საარტილერიო მეთაურთა სასწავლებელში. სასწავლებლის ქვეგანაყოფები შეფობს უწევენ ქალაქის 27 სკოლას, 6 ტექნიკუმს, 3 სასწავლებელს. თუ 1978 წელს ამ სასწავლებლებში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სკოლების 92 კურსდამთავრებული შევიდა, 1982 წელს მათმა რიცხვმა უკვე 125 შეადგინა.

სამხედრო სასწავლებლებისათვის ადგილობრივი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის მომზადებაში ჩამორჩენის ლიკვიდაციის კარგი რეზერვია გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური სპეცსკოლა, რომელიც 1974 წელს შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით და დიდად პოპულარულია ახალგაზრდობაში. აი, შარშანაც შემსვლელები დაძაბულ კონკურსში მონაწილეობდნენ. ოთხასი მსურველიდან სკოლაში 190 ჩარიცხეს. წელს ამ სკოლის 300-ზე მეტი აღზრდილი სამხედრო აკადემიებისა და სასწავლებლების მსმენელები და კურსანტები არიან. მათი დამთავრების შემდეგ 100-ზე მეტმა კაცმა ოფიცრის წოდება მიიღო.

ჭაბუკების სამხედრო-პროფესიული ორიენტაციისა და სასწავლებლებში შერჩევისათვის კარგ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში. ამ მუშაობის დონის ამაღლება და მიზანმიმართულება ხელს უწყობს სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობას, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე ხელმძღვანელობს. ანალოგიური საბჭოები შექმნილია პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთანაც. უდავოდ დიდი სარგებლობა მოაქვს ჯარში სამსახურისათვის ახალგაზრდობის მოამზადების აქტუალურ პრობლემებზე რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელების, სამხედრო კომისრების შეხვედრის, მოსმენისა და საუბრების პრაქტიკას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 30-ზე მეტი ასეთი შეხვედრა გაიმართა. ამასთან პრაქტიკაშია დანერგილი დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ადგილებზე კონკრეტული საკითხების მდგომარეობის წინასწარი შესწავლა. ამის შედეგად უკვე საგრძნობი დადებითი მოგლეხები კონსტიტუციური მოვალეობის შესრულებისათვის ახალგაზრდობის აღზრდისა და მომზადების გაუმჯობესებაში. და, რაც მთავარია, გაძლიერდა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მისი მეორე მდივნის გ. კოლბინის ხელმძღვანელობით ძალზე კარგი პრაქტიკა დამკვიდრდა — სამხედრო სამსახურში ახალგაზრდობის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის და სამხედრო სასწავლებლებში ჭაბუკების შესვლის შედეგების თაობაზე თათბირების მოწყობა.

ამის შესახებ, თუ რამდენად ქმედითია ეს მუშაობა, შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუნდაც იმით, რომ გამოცდების ჩასაბარებლად გაგზავნილი კანდიდატებიდან 1982 წელს სასწავლებლების კურსანტებად ჩაირიცხა რესპუბლიკის 600-ზე მეტი წარგზავნილი, მაგრამ ამასთანავე ეს მაჩვენებლები ამეამად ჩვენ ვეღარ დაგვაკმაყოფილებს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სამხედრო სასწავლებლებში შესასვლელად ჭაბუკების საუკეთესო ნაწილი მამინ შეირჩევა, თუ ამ მუშაობას სამხედრო კომისარიატები სკოლების სამხედრო ხელმძღვანელებთან და დირექტორებთან, დაწესებულებებისა და საწარმოებს, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების და დოსაააფის ორგანოების ხელმძღვანელებთან ერთად ეწევიან.

სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, არმიაში სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადების მთელი მუშაობა ვერ იტანს გულგრილობას. დიახ, ჩვენ გვახარებს ამ მუშაობის გაქანება და ამაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჭაბუკები ახლა უფრო მეტად ესწრაფვიან სამხედრო სასწავლებლებს, მაგრამ რაოდენობრივი მაჩვენებლები ყველაფერი როდია. კომკავშირული ორგანიზაციები, აღინიშნა სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობაზე, დღენიადაგ უნდა ხელმძღვანელობდნენ ლენინის იმ მითითებით, რომ სამხედრო მომზადების გაძლიერება მოითხოვს არა ნაჩქარეობას, მოწოდებას, საბრძოლო ლოზუნგებს, ფორმალიზმის გარდა, რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ სამხედრო სასწავლებლებში ამ რაიონებიდან გაგზავნილი აბიტურიენტების დაახლოებით მესამედი შესასვლელ გამოცდებს ვერ აბარებს, სამედიცინო კომისიებს არ გადის. ასეთ მდგომარეობას ვერ შეეურიგდებით!

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ჭაბუკთა წინაშე დღეს დგება კითხვა: რომელი პროფესია აირჩიოს, სად წავიდეს სასწავლებლად? ყოველ მათგანს ხომ არჩევანის მრავალი გზა აქვს გადაშლილი. და ყველა ეს გზა მომზიდველი და მომხიბვლელია, ყველა საინტერესო პროფესიას, მუშაობას და ცხოვრებას ჰპირდება!

მაგრამ არის ერთი გზა, რომელსაც ინანი ადგებიან, ვისაც ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი პასუხისმგებლობა სამშობლოს ბედის გამოცდილებით და მით უფრო საწყენია, რომ ზოგჯერ ასეთ ლოზუნგს არ გასცდება ხოლმე.

რა თქმა უნდა, [illegible] ეწყრება შეუძლებელია, [illegible] დრო კომისარიატებმა ყოველდღიური და გულმოდგინე მუშაობა არ გასწიეს. მთავაც ხომ არსებითად შეასუსტეს ყურადღება რესპუბლიკის ავიატორთა სახელოვანი ტრადიციების განგრძობისა და განვითარებისადმი.

საზეიმოდ და ხალისიანად ვაცილებთ ხოლმე ჩვენ საბრძოლო სამსახურში ახალგაზრდა შვილებს — მომავალ ავიატორებს, მეზღვაურებს, არტილერისტებს, მესაზღვრეებს... ბევრი მათგანი სიყვარულით ატარებს უბის ჯიბით კომკავშირის საგზურს, ვაჟკაცობისა და რომანტიკის სამყაროს საგზურს, სოციალისტური სამშობლოს დამცველის გმირული პროფესიის საგზურს.

ერთი სიტყვით, რომანტიკის ნაკლებობა და ძნელი პროფესიებისადმი მისწრაფების უქონლობა კი არ უნდა ვუსაყვედუროთ ახალგაზრდობას, არამედ დავეხმაროთ, რომ „ფრთები შეისხას“; ყველას, ვინც ცაზე ოცნებობს, დროულად უნდა ამოვუდგეთ მხარში, უნდა დავეხმაროთ არჩევანის აღსრულებაში, რათა მომავალში გაიმეოროს ვ. ჩკალოვის სიტყვები: „მე ვიპოვე ჩემი მე, ჩემი სტიქია... მივაგენი სწორ და ერთადერთ გზას!“.

ჩვენი ვალია დღეენიადაგ ვითვალისწინებდეთ პრაქტიკულ საქმიანობაში, რომ ღირსეული ახალგაზრდობით სამხედრო სასწავლებლების დაკომპლექტება დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა. მის გადაწყვეტას პარტიული პოზიციებიდან უნდა ვუდგებოდეთ, მაღალორგანიზაციულ დონეზე ვახორციელებდეთ, რათა მსმენელთა და კურსანტთა შორის იყვნენ ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს საუკეთესო წარმომადგენლები, უფროს თაობათა სახმოლო დიდების ღირსეული მემკვიდრენი, რომლებიც პატიოსნად ატარებენ მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე საბჭოთა ოფიცრის სპატიო წოდებას.

**გენერალ-მაიორი**
**ლ. შარაშენიძე,**
**საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი.**

# პროვოკაციული ხმაური

**საკდესში** მოდის წერილები მეცნიერების, კულტურის მოღვაწეებისაგან, მუშათა კოლექტივების წარმომადგენლებისაგან, რომლებშიც გამოთქმულია აღშფოთება საფრანგეთის ხელისუფალთა თვითნებობისა და ამ მოქმედების გარშემო ატეხილი პროვოკაციული ხმაურის გამო. აი ზოგიერთი მათგანი.

„შემაშფოთებელი და უცნაური ცნობები მოდის საფრანგეთიდან, — წერს რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტი, „სსრ კავშირ-საფრანგეთის“ საზოგადოების საპრეზიდენტო საბჭოს წევრი, კომპოზიტორი ნიკიტა ბოგოსლოვსკი. — ქვეყანაში, რომელიც ჩვენთან მრავალი წლის მეგობრობითა და თანამშრომლობით არის დაკავშირებული, ატყდა პროვოკაციული ხმაური, ღვივდება ანტისაბჭოთა ისტერიის კამპანია.

როგორ აღმაშფოთებლად ეფნაიდეგება ეს მოქმედება ამ კეთილ დამოკიდებულებას, რომელიც ტრადიციულად არსებობს ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის! მრავალჯერ ვყოფილვარ სტუმარმოყვარე საფრანგეთის მიწა-წყალზე შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ საქმეებზე. მჭიდრო მეგობრული კონტაქტები დავამყარე ბევრ ფრანგ კოლეგასთან. ძალზე საინტერესო აღმოჩნდა ერთობლივი მუშაობა ცნობილ მეზღვაოსებთან, რომელთა შემოქმედებას კარგად იცნობენ და უყვართ ჩვენს ქვეყანაში, — ფრანსის ლემარკთან და მარია ფილიპ-ჟერმონთან. ვამაყობ იმით, რომ ოცდახუთი წლის მანძილზე საბჭოთა რადიოში მიმყავს გადაცემა, რომელიც ჩვენს მსმენელებს აცნობს ფრანგ მომღიერალთა და კომპოზიტორთა ხელოვნებას.

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების, ნდობის, თანამშრომლობის დამოკიდებულება ემსახურება მშვიდობის ინტერესებს, მათი ძირგამოთხრა ხელს უწყობს დაძაბულობის შენელების მტრებს“.

„განცვიფრების გრძნობის გარდა სხვა არაფერს იწვევს საფრანგეთის ხელისუფალთა თვითნებობა მთა ქვეყანაში საბჭოთა წარმომადგენლების მიმართ, — თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ენერგეტიკის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა ო. სუმბაევმა, — მხოლოდ სინანული შეიძლება გამოვთქვათ იმის გამო, რომ ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა საფრანგეთთან ამეამად გაუარესდა პროვოკაციული კამპანიის გამო. ჩვენს ხალხებს შორის ოდითგანვე დამყარდა კონტაქტები სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების ბევრ დარგში. დავიმოწმებ ჩემი ინსტიტუტის მაგალითს. უკვე ათ წელიწადზე მეტია, რაც პარიზის მახლობელი ატომური ენერგეტიკის გამოკვლევათა სახელმწიფო ცენტრის კოლეგებთან ვახორციელებთ თანამშრომლობის პროგრამას მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის დარგში. მუშაობა მორიგეობით წარმოებს საფრანგეთში „სატურნის“ მაჩქარებელზე და ანალოგიურ მაჩქარებელზე ლენინგრადთან. გამოკვლევათა პრინციპულად ძნიშვნელოვანი შედეგები რეგულარულად ქვეყნდება ორივე ქვეყნის სამეცნიერო კრებულებში.

ექსპერიმენტთა პროგრამის დამთავრების შემდეგ, დაახლოებით ერთ თვის წინათ საფრანგეთიდან დაბრუნდა ჩვენი თანამშრომლების ჯგუფი. ისინი, ისევე როგორც ფრანგი კოლეგები, კმაყოფილი არიან ერთობლივი მუშაობის შედეგებით. კეთილი, გულთბილი მოგონებები დარჩა მათ ფრანგი ფიზიკოსების შესახებ, ნდობა და ურთიერთგაგება დამყარდა ამ მუშაობის დროს.

მჯერა, რომ პროვოკაციული კამპანია და ანტისაბჭოთა ხმაური გავლენას ვერ მოახდენს ფრანგ მეცნიერებთან და კულტურის მოღვაწეებთან ჩვენს საქმიან ურთიერთობაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ისინიც ასეთივე აზრისა არიან“.

„ვინ დგას ბინძური პროვოკაციის მიღმა, რომელიც საფრანგეთში მოაწყეს? ვისთვის არ არის ხელსაყრელი კეთილი მეგობრული ურთიერთობა, რომელიც დამყარდა ჩვენს ქვეყნებს შორის? — ვკითხავ ჟურნალისტ-ლეონ ბერეზოვსკი. — ეს ალბათ ის ძალებია, „სსრ კავშირ-საფრანგეთის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი, პოეტი ირაკლი აბაშიძე — სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა კავშირურთიერთობის მრავალი წლის გამოცდილება უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ: სიცრუისა და ცილისწამების ეს კამპანია ინსპირირებულია ჩვენი მეგობრობის მტრების მიერ.

ქართველი მკითხველისათვის მუდამ ზეიმია, როცა რესპუბლიკაში ფრანგი მწერლების ნაწარმოებები გამოდის. მე მათ მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. ლიტერატურის ბევრ თანამედროვე ოსტატს პირადად ვიცნობ, პარიზსა და თბილისში შეეხვიდრივარ მათ. პირადი კონტაქტები საფრანგეთის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, უბრალო ხალხთან უფლებას მაძლევს იმედი ვიქონიო, რომ სიმართლე გაიმარჯვებს. შეგახსენებთ, თუ როგორ თქვა ქართველმა პოეტმა შოთა რუსთაველმა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!“.

იმედი მაქვს, რომ საკდესის საინფორმაციო არხებით ჩემი სიტყვები მიაღწევს საფრანგეთის კულტურის მოღვაწეებამდე, რომელთა საღი აზრი და კეთილნება მტკიცედ მწამს“. (საკდესი).

# შევინარჩუნოთ ქვეყნად სიცოცხლე

**მოსკოვში** გაიმართა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. სხდომაზე განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეთა მონაწილეობას ევროპიელების ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ განიარაღების მსოფლიო კამპანიაში და „მშვიდობისა და სიცოცხლისათვის ბირთვული ომის წინააღმდეგ“ მსოფლიო ასამბლეისათვის მზადებას. ეს ასამბლეა გაიმართება 1983 წლის 21-26 ივნისს პრაღაში.

სხდომის მონაწილეებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ხ. პერეს დე კუელიარს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობისათვის მოძრაობას განიარაღების მსოფლიო კამპანიის მოწყობის გადაწყვეტილება მეტად მნიშვნელოვანად და დროულად მიაჩნია.

პრეზიდიუმმა მოუწოდა საბჭოთა საზოგადოებრიობას პრაღის ასამბლეისათვის მზადება აღნიშნოს ახალი ინიციატივებით, რომელთა მიზანი იქნება ბირთვული კატასტროფის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპისა და მთელი მსოფლიოს ყველა ომის საწინააღმდეგო მოძრაობასთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება. (საკდესი).

15 აპრილი
ყოველთვიური
ფაქტები მოვლენები საკდესი იუფყება

## შეკავშირება, სოლიდარობა

### პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საპირველმაისო მიმართვა

**პრაღა. მშრომელებმა, პროფკავშირებმა და სხვა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა უნდა შეაკავშირონ ძალები მშვიდობისა და ქვეყნად სიცოცხლისათვის ბრძოლაში, თავიდან აიცილონ ბირთვული კატასტროფა, ნათქვამია აქ გავრცელებულ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სადღესასწაულო მიმართვაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესთან — 1 მაისთან დაკავშირებით.**

სოციალისტურმა და მიუმხრობელმა ქვეყნებმა წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები, რომლებიც გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების გზას სახავენ. ახლა მთავარია ვაიძულოთ იმპერიალიზმი მიიღოს ეს წინადადებები, მივაღწიოთ წარმატებას შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ მოლაპარაკებებზე.

1 მაისის დღეს ჩვენ მოვითხოვთ ბირთვული შეიარაღების პროგრამის და არა ხელფასის გაყინვას, სამხედრო ხარჯების და არა სოციალური უზრუნველყოფისათვის ასიგნებათა შემცირებას. არ შეიძლება ხალხთა არსებობისა და შრომის წმიდათაწმიდა უფლება შევწიროთ მონოპოლიათა მოგებებს, ნათქვამია მიმართვაში.

პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ერთიანობა და სოლიდარობა — აი რა არის მშვიდობისა და სოციალური პროგრესის გარანტია. 1983 წლის 1 მაისი მშვიდობისათვის, შრომისა და უკეთესი ცხოვრებისათვის შეუპოვარი ბრძოლის დღედ უნდა იქცეს, ხაზგასმით არის აღნიშნული პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიმართვაში.

## ● აშშ

## კენჭისყრა კვლავ გადაიდო

**ვაშინგტონი. რ. რეიგანის ადმინისტრაციის დამჭაშთა ობსტრუქციონისტული ტაქტიკის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატა იძულებული გახდა კვლავ გადაიდო კენჭისყრა იმ რეზოლუციის პროექტის გამო, რომლის თანახმადაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სსრ კავშირმა უნდა გაყინონ ბირთვული შეიარაღების წარმოება, გამოცდა და განლაგება, იმ პირობით, რომ შესაძლებელი იყოს მან გაყინვის შემოწმება.**

წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის კ. ზაბლოცკის (დემოკრატი ვისკონსინის შტატისაგან) მიერ წარმოდგენილი პროექტი ასახავს ამერიკის საზოგადოებრიობის ფართო წრეების მზარდ იმპოზიციას თეთრი სახლის მილიტარისტული პოლიტიკისადმი. ამ საკითხის გამო გასულ თვეში გამართული დებატების დროს ადმინისტრაციის დამჭაშებმა შეძლეს ხელოვნურად გაეძიანურებინათ განხილვა და გადაედოთ კენჭისყრა. გაჭიანურების, ობსტრუქციისა და ზეგავლენის ტაქტიკა ამჟღავნდაც აქტიურად გამოიყენეს. პრეზიდენტმა რეიგანმა თეთრ სახლში გამოიძახა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი 25 კონგრესმენი და თავდაცვის მინისტრთან კ. უაინბერგერთან ერთად გამოიყენა მათ მიმართ „ხელის გრეხის“ მეთოდი. მიუხედავად ამისა, აღნიშნავს იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო, თეთრმა სახლმა „ბევრს ვერაფერს მიაღწია“ თავისი ხრიკების მეშვეობით. კონგრესმენთა უმრავლესობამ უარყო კაპიტალიუმის გორაზე ადმინისტრაციის დამჭაშთა მიერ წამოყენებული შესწორებები, რომელთა მიზანია გამოაცალონ რეზოლუციას, წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“. როგორც წარმომადგენელთა პალატის წევრმა ჯ. სეიბერლინგმა (დემოკრატი ოჰაიოს შტატისაგან) განაცხადა, „ამერიკელებს უკვე აღარ სჯერათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩამორჩება სსრ კავშირს“, ჩემთვის გამოგზავნილ ამომრჩეველთა წერილების 82 პროცენტი, თქვა კონგრესმენმა, შეიცავს მოთხოვნას გაიყინოს ბირთვული არსენალები. გაყინვა, თქვა წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ კ. ზაბლოცკიმ, დროის მოთხოვნაა.

როგორც წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ტ. ო. ნილმა თქვა, გაყინვის შესახებ რეზოლუციის პროექტს საბოლოო ანგარიშით მიიღებენ ხმების მნიშვნელოვანი უმრავლესობით.

## ჰ. კოლის ვიზიტი

**ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰ. კოლი.** ეს დასავლეთ გერმანიის მთავრობის მეთაურის პირველი ვიზიტია უცხოეთში მაჯ შემდეგ, რაც გაიმართა ბუნდესტაგის ვადამდელი არჩევნები და ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიცია.

როგორც, იუწყებიან, ჰ. კოლი შეხვდება პრეზიდენტ რ. რეიგანს და ამერიკის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს, რათა განიხილონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ევნევაში, მთლიანად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობათა კომპლექსი, აგრეთვე დასავლეთ სამყაროს ეკონომიკური პრობლემები.

## თეთრი სახლის ზემოქმედებით

**ვაშინგტონი. პირწავარდნილი „ჭორი“ და გამალებული შეიარაღების ალაგმვის მოწინააღმდეგე კენედი ედელმანი ამერიკის კონგრესის სენატმა დაამტკიცა შეიარაღებისა და განიარაღებისადმი კონტროლის საააგენტოს მეთაურის პასუხსაგებ პოსტზე.** კენჭისყრის შედეგი — 57 ხმა 42-ის წინააღმდეგ — განაპირობა ბოლო დღეებში თეთრი სახლის მიერ კანონმდებლების მიმართ განხორციელებულმა ინტენსიურმა და უცერემონიო „ხელების გრეხამ“.

პრეზიდენტ რ. რეიგანის მიერ ედელმანის დანიშვნა იმ უწყების მეთაურის პოსტზე, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს გამალებული შეიარაღების შეზღუდვის დარგში ეფექტიან ღონისძიებებს, ამერიკის კონგრესის და საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა აღიქვეს როგორც იმის აშკარა ნიშანი, რომ თეთრ სახლს განზრახული აქვს ჩაფუშოს შეიარაღებისადმი კონტროლის პროცესი და გაიღრმაოს თავშეუკავებელი მილიტარისტული მზადება. სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში მოსმენისას ედელმანმა დაუფარავად გააშიშვლა თავისი მილიტარისტული შეხედულებები. ამ ტრადიციებს. სამწუხაროდ, სულ უფრო ჭირს ჭაბუკების გაგზავნა სამხედრო-საავიაციო სასწავლებლებში. რატომ მოხდა ასე? ზოგიერთი სპეციალისტი ყველაფერს იოლად ხსნის. ასეთადა, ახალგაზრდობას აღარ იტაცებსო ავიაცია, უფრო მშვიდ, კომფორტულ პროფესიებს ეწაფებიანო, და იწყება მოგონებანი: „აი, როცა ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით...“.

თქმა არ უნდა, ჩვენი სიჭაბუკის წლებში სამხედრო ავიაციასთან ბევრს დაკავშირების მსურველი ბევრად უფრო მეტი იყო, ვიდრე საავიაციო სასწავლებლებს სჭირდებოდათ.

მაგრამ არა, ახალგაზრდათა შორის არ შემცირებულა რომანტიკისთა რიცხვი. მაგრამ ჩვენ, უფროსები, განა ყოველთვის ფაქიზად ვეკიდებით ჭაბუკის ოცნებას, ვეხმარებით მის ხორცშესხმაში? უფროსებში მე ვგულისხმობ პედაგოგებს, პარტიულ, კომკავშირულ მუშაკებს, სამხედრო კომისარიატების ოფიცრებს, მშობლებს — ყველას, ვის აზრს და რჩევას აფასებენ ახალგაზრდები.

არა, თანამედროვე მფრინავის შარავანდედი არ გახუნებულა ჩკალოვის შემდეგ, არ მოჭკლებია რომანტიკა. ახლა შემართებას მოწყურებულ ახალგაზრდებს ეუოო იტაცებს ზებგერითი სიჩქარეები, სტრატოსფერული სიმაღლეები, ნახევარრაკეტა-თვითმფრინავები, ღიის ხომ ავიაციის ფრთები კოსმოსის ფრთებია. ოღონდ ჭაბუკებს ზოგჯერ ჰგონიათ, თითქოს ამ აპარატებით დღეს ვიღაც არაჩვეულებრივი ადამიანები დაფრინავენ, რომლებიც მათ არაფრით არ ჰგვანან; ვინ უნდა განუმარტოს მათ, რომ ეს ასე არ არის? რა თქმა უნდა, უფროსმა თაობამ, ვეტერანებმა, მშობლებმა, ახლობლებმა.

და აი, მივადექით მთავარ მიზეზს — საინტერესო, მაგრამ რთული საბრძოლო პროფესიის სუსტად დაყენებულ პროპაგანდას. ჭაბუკები გეგმაზომიერად, გამიზნულად უნდა მოვამზადოთ მფრინავობისათვის. ამ საქმეში ძალზე დიდია კომკავშირის როლი. მას დიდი დამსახურება მიუძღვის იმაში, რომ ახალგაზრდობა მფრინავის პროფესიას ეუფლება. კომკავშირი მდიდარია კონკრეტული ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილებით და მით უფრო საწყენია, რომ ზოგჯერ ასეთ ლოზუნგს არ გასცდება ხოლმე.

[illegible] ეწყრება შეუძლებელია, [illegible] დრო კომისარიატებმა ყოველდღიური და გულმოდგინე მუშაობა არ გასწიეს. მთავაც ხომ არსებითად შეასუსტეს ყურადღება რესპუბლიკის ავიატორთა სახელოვანი ტრადიციების განგრძობისა და განვითარებისადმი.

საზეიმოდ და ხალისიანად ვაცილებთ ხოლმე ჩვენ საბრძოლო სამსახურში ახალგაზრდა შვილებს — მომავალ ავიატორებს, მეზღვაურებს, არტილერისტებს, მესაზღვრეებს... ბევრი მათგანი სიყვარულით ატარებს უბის ჯიბით კომკავშირის საგზურს, ვაჟკაცობისა და რომანტიკის სამყაროს საგზურს, სოციალისტური სამშობლოს დამცველის გმირული პროფესიის საგზურს.

ერთი სიტყვით, რომანტიკის ნაკლებობა და ძნელი პროფესიებისადმი მისწრაფების უქონლობა კი არ უნდა ვუსაყვედუროთ ახალგაზრდობას, არამედ დავეხმაროთ, რომ „ფრთები შეისხას“; ყველას, ვინც ცაზე ოცნებობს, დროულად უნდა ამოვუდგეთ მხარში, უნდა დავეხმაროთ არჩევანის აღსრულებაში, რათა მომავალში გაიმეოროს ვ. ჩკალოვის სიტყვები: „მე ვიპოვე ჩემი მე, ჩემი სტიქია... მივაგენი სწორ და ერთადერთ გზას!“.

ჩვენი ვალია დღეენიადაგ ვითვალისწინებდეთ პრაქტიკულ საქმიანობაში, რომ ღირსეული ახალგაზრდობით სამხედრო სასწავლებლების დაკომპლექტება დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა. მის გადაწყვეტას პარტიული პოზიციებიდან უნდა ვუდგებოდეთ, მაღალორგანიზაციულ დონეზე ვახორციელებდეთ, რათა მსმენელთა და კურსანტთა შორის იყვნენ ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს საუკეთესო წარმომადგენლები, უფროს თაობათა სახმოლო დიდების ღირსეული მემკვიდრენი, რომლებიც პატიოსნად ატარებენ მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე საბჭოთა ოფიცრის სპატიო წოდებას.

**გენერალ-მაიორი**
**ლ. შარაშენიძე,**
**საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი.**

## „მარტოხელა მკვლელი“ თუ შეთქმულება?

### ახალი მონაცემები ჯ. კენედის მკვლელობის შესახებ

**ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კენედი „მარტოხელა მკვლელს“ ლი ჰარვი ოსვალდს კი არ მოუკლავს, როგორც ამას ოფიციალური ვერსია ამტკიცებს, არამედ ფართო პოლიტიკური შეთქმულების მსხვერპლი გახდ

**23-24 აპრილი — ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღე**

# ანათებდეს სხივი ხსოვნისა

**გლოვას** სისადავე უხდება. ეს ყველამ იცის. მაგრამ ისიც ყველას უნდა მოეხსენებოდეს, რომ ბოლო ხანს „მოდაში“ შემოსული გრანდიოზული საფლავები — ბროლის ჭალებით, ვეება სურათებით და მონუმენტური ძეგლებით მარმარილოს აივნებით და მოაჯირებით ჩრდილს უფრო აყენებს განსვენებულთა ხსოვნას, მათს სახელს და დამსახურებას.

კიდევ ერთი მომენტი: ამ პომპეზური გამოფენის გვერდით უბრალო, ერთმანეთზე გადაჭედილ არყის ხეებისაგან შემოღობილ საფლავს სათუთად გაცრილი მიწაა მოფრქვეული და ყვავილები ხარობს. როგორ ფიქრობთ, რომელი ჰირისუფლის გულში უფრო ცოცხლობს მიცვალებულის ხსოვნა?

სწორედ ამიტომ არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილება ერთიანი ხსოვნის დღის დაწესების შესახებ არა მარტო დროული, არამედ აუცილებელიც.

ერთიანი ხსოვნის დღე სულაც არ ნიშნავს, რომ სხვა დროს არ შეიძლებოდეს განსვენებულის გახსენება. სადად და ნორმალურ ვითარებაში ამ ცერემონიალის პერიოდულობას არავინ გვიკრძალავს. ამას წინათ, ერთი გარდაცვლილი მეგობრის დაბადების დღეს საფლავზე გავედით მისი ახლობლები. გავიხსენეთ, მოვიგონეთ ისიც, რომ თვითონაც ასე გულითადად, სადად უყვარდა სხვათა ხსოვნის აღნიშვნა. უკან გამობრუნებული, თითქოს გულზე მოგვეშვა, თითქოს რაღაც შეგმატეთ გარდაცვლილის ხსოვნას.

რა შესანიშნავად არის ნათქვამი ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში: ეს ცოცხლებს სჭირდებათ, სჭირდებათ ახლა, დასჭირდებათ მომავალშიც.

**გ. ხიჯაკაძე,**
**თერჯოლის რაიონული გაზეთის „წინსვლის“ რედაქტორი.**

# ღია წერილი მელიტონ ქანთარიას

ვინ იცის, ვინ სად დაეცა,
ვინ სად მთასაკით მინვა,
მკერდდაფლეთილებს გრიგალმა
სად მიაყარა მინა.

საუკუნეთა მიღმიდან,
როგორც შუქურა შორი,
ჩვენამდის აღწევს იმათი
სახელი ლომთა სწორი.

ვინ იცის, სუნთქვა რამდენის
შლიდა იმ დროშას ცაში,
შენ რომ ბერლინში აღმართე
ორმოცდახუთში მაშინ.

მტრებს ახლაც კი ელანდება
ის მოქნეული დაშნა,
ის ვულკანივით აჭრილი
სტალინგრადული „ვაშა“.

ის ბრძოლა, ის თავგანწირვა,
ის თავდადება გმირთა,
ის მოწოდება მამულის
ახლაც კი თვალწინ გვიდგას.

მარტო იქ ომში კი არა,
აქ ზურგში ვინც ოფლს ღვრიდა,
მათი ნამგლების ტრიალი
ახლაც კი თვალწინ გვიდგას.

მათი დაზგების გრიალი
ხუთწლედებს უძღვის დროშად,
ის სწრაფვა, ის თანადგომა
მარად გაჰყვება დროებამს.

ბნელს მიარღვევდა თუ ხნულში
თესავდა საძმოდ სურვილს,
სიკეთისათვის უძგერდა,
ვისაც ალალი გული.

ვინც ამ მზეს შეეფოფინებდა
მაჯა უცემდა ვიდრე,
იმათი ხსოვნა ნათელი
ადგას ჩვენს მთებს და
მინდვრებს.

შენ გაგიმარჯოს, ფსკერამდის,
რომ ჩვენს ნაფიქრალს
ჩასწვდი,
რომ იცი ვალმოხდილის და
ფასი ნასული კაცის.

მართლაც და ხსოვნა ნათელი,
ჩვენს გზა-ბილიკს რომ მისდევს,
მიცვალებულებს კი არა
ცოცხლებს გვჭირდება ისევ.

ვერ გავიხსენებთ აუგად
და ვერც ვიქნებით უბრალ,
ჩვენ მათი ხსოვნა ნათელი
სულს გვისპეტაკებს მუდამ.

**ვახტანგ გორგანელი.**

# აპრილი

## ეტიუდი ციკლიდან „ჩემი ძველი ოდა“

...რა დააკვებს აპრილში ბალახს, ამოწვეირილა, ალაგ ვეღური ყვავილებით მოჩითულა, მაისის ვარდები გადატოტვილა, ერთმანეთში ჩახლართულა დედის საფლავზე, ერთხანს მონუსხულივით ვდგავართ, მერე ბიჭები სათუთად წმენდენ ქვაში ჩასმულ სურათს, უმცროსი წყლან ეზოში დაკრეფილ ტიტებს ფრთხილად უწყობს თავთან. ორ-ორ ცალს კი გვერდით საფლავებზე აწყობს, თან ჩემკენ აპარებს მზერას. ეს ჩემი ბებიას და ბაბუას საფლავებია. ატყობს, რომ მასიამოვნა და უფროსი ძმის გვერდით იმუხლებს, ჩვენთან ერთად გაჩჭარბით აცლის ბრჭყალმოკიდებულ გლერტას საფლავის კიდეებს.

...სამუშაო დიდი არაფერი გვქონდა. ამ საფლავებს მოვლას არ აკლებს მამაჩემი. მთავარი იყო, კიდევ ერთხელ მომეყვანა აქ ჩემი ბიჭები, კიდევ ერთხელ ერწმუნათ ის სიტყვები, ამ რამდენიმე წლის წინათ უმცროსმა რომ უთხრა უფროსს: იცი, ბიჭო, რატომ წმენდს მამა საფლავს?

— რატომ?...

— პატივი უნდა რომ სცეს, და იმიტომ!... მერე ერთ ბალახმორეულ, გაევრანებულ საფლავზე მითითთა: „ამის პატრონს დავიწყებია პატივისცემა“.

ყოველ ჩამოსვლაზე მოვდივართ აქ, ვაყურადებთ ამ მდუმარებას, ანალოგიერფილ ყვავილებს ვუწყობთ საფლავებს, მერე დაწალიკებული მივუყვებით ბილიკს შემოსასვლელისაკენ და მერამდენედ მესმის, როგორ შეუძახებს ჩემი უფროსი ბიჭი ძმას: „ფრთხილად, საფლავებზე არ დაბიჯო, ცოდვაა, არ შეიძლება“.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

# ჭადრაკის დაფებთან

**დორტმუნდში** (გერ) დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. პირველი სამი ადგილი 7-5-7,5 ქულით განაწილეს ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) ჩანდლერმა (ინგლისი) და შუბამ (რუმინეთი). **ამ შეჯიბრებაში მონაწილე ერთადერთმა ქალმა მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ ვაჟებს ტოლი არ დაუდო, ტურნირი დაუმარცხებლად განვლო, 7 ქულა დააგროვა და ხაპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა.**

**ბრძოლდება** ჰადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების მეოთხედფინალური მატჩები. **ფილდენში (ავსტრია)** ყაიმით დასრულდა ვასილ სმისლოვისა (სსრ კავშირი) და რობერტ ჰიუბნერის (გფრ) გადადებული მეთერთმეტე პარტია და ანგარიში გახდა 5,5:5,5. **ბად-ვისინგენში (გფრ)** გათამაშდა ლიდია სემენოვასა (სსრ კავშირი) და მარგარეტ მურეშანის (რუმინეთი) მერვე პარტია. გაიმარჯვა მურეშანმა და ანგარიში გათანაბრდა — 4:4, **ალიკანტეში (ესპანეთი)** ნანა ალექსანდრიასა და ტატიანა ლემაჩკოს (შვეიცარია) მეოთხე პარტია გადადებული იყო ქალთველი მოჭადრაკისათვის მოსაგებ მდგომარეობაში და მეორე დღეს მეტოქე თამაშის განახლებლად დახებდა. გათამაშდა მეხუთე პარტიაც, რომელიც 59-ე სვლაზე გადაიდო და ექსპერტების აზრით პოზიცია საყაიმოა. ჯერჯერობით ანგარიშია 3:1. ალექსანდრიას სასარგებლოდ. უნგრელმა ზოლტან რიბლიმ კი ფილიპინელ უგმენის ტორეს მეექვსე პარტია მოუგო და დაწნაურდა ანგარიშით 4:2.

**მოსკოვში** გაიმართა მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მეცხრე ტურის პარტიები. კარპოვმა დაამარცხა გელერი, ტუმმაკოვმა — რომანიშინი, პოლუგაევსკიმ — ფსახისი, ბალაშოვმა — იუსუპოვი, დაზადნენ მალანიუკ-პეტროსიანი და რაზუვაევ-ტალი. გადაიდო ბელიავსკი-ლერნერისა და აგზამოვ-ზმაიფარაშვილის პარტიები. ამ დღეს თამაშიდან თავისუფალი იყო ვაჰანიანი. გუშინ გათამაშდა გადადებული პარტიები. მანამდე კი ლიდერთა ჯგუფში იყვნენ პოლუგაევსკი — 5 ქულა, ტუმმაკოვი — 4,5 (2 გადადებული), ბალაშოვი და ფსახისი — 4,5-4,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

# მეხუთე ჯერ

**ბუშინ** „ნეფთჩისა“ და „დნეპრის“ მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტური. ეს შეხვედრა დამთავრდა ფრედ ახგარიშით — 2:2.

დღეს გაიმართება ამ ტურის დანარჩენი მატჩები. **თბილისის „დინამო“ მახჩინდლობს „შახტორს“, ქუთაისის „ტორპედო“ — მინსკის „დინამოს“**, კიევის „დინამო“ — მოსკოვის „ტორპედოს“, „მეტალისტი“ — ცსკას, „ფაზთაქორი“ — „ნისტრუს“, „ზენიტი“ — „ჩერნომორეცს“, „არარატი“ — „ყაზგირისს“.

**ცნობა სტატისტიკის მოყვარულთათვის:** საკავშირო ჩემპიონატების განმავლობაში თბილისის „დინამო“ „შახტიორს“ 64-ჯერ შეხვდა. აქედან „დინამომ“ მოიგო 27 მატჩი. 22 ფრედ დაამთავრა და 15 შეხვედრა წააგო. ბურთების სხვაობაა 97-73 დინამოელთა სასარგებლოდ. ქუთაისს ტორპედოელებს მინსკელ დინამოელებთან 20 მატჩი აქვთ გამართული. აქედან ქუთაისელებმა მოიგეს 3 შეხვედრა, 8 ფრედ დასრულეს და 9 წააგეს. ბურთების სხვაობაა 14—29.

# საბურნირო ორბიტა

**თავისუფალი ჰიდაობა.** 19-21 აპრილს ბუდაპეშტში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში სხვა ათლეტებთან ერთად არიან ქართველი მოჭიდაველები — დავით გიგაური (68 კილოგრამამდე წონითი კატეგორია) და გიორგი მაკასარაშვილი (82 კგ).

**სამგო.** ალმა-ათაში დამთავრდა ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატი. სხვებთან ერთად პირველი ადგილი მოიპოვა ქართველმა სპორტსმენმა პ. ბუზარიაშვილმა. იგი უძლიერესი იყო 81 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში.

**ცურვა.** ქალაქ გერაში (გდრ) დამთავრდა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოზარდთა ნაკრების გუნდების (14 წლამდე ასაკის სპორტსმენები) ტრადიციული სამატჩო შეხვედრა. გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა ანგარიშით 176:162.

**რედაქტორი**
**გ. ბედინეიშვილი.**

**საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტრო, მედმუშაოთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, მეან-გინეკოლოგთა და ონკოლოგთა რესპუბლიკურ სამეცნიერო საზოგადოებათა გაგებიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**ჯემალ რევაზის ძე ციციშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## მხატვრის კვირეული

# შემოქმედის მიზანსწრაფვა

**მოკრძალებული,** ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებული შემოქმედი, ბუნებით სიტყვაძვირი ადამიანი, რომელიც ყოველთვის უჩუმრად, უპრეტენზიოდ აკეთებს საქმეს — ასეთია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი თენგიზ ჯაფარიძე, რომელსაც ახლახან 50 წელი შეუსრულდა.

თენგიზ ჯაფარიძის ნაშთქმერები ეგზაოსიერებული იყო ამეიოკის ფეერთეულ შტატებში, საფრანგეთში, გეოძახიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შვეიცარიაში, იტალიაში, დანიაში, ავსტრიაში, ინგლისში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, უნგრეთში. „სოცრეალ წარმტაცია“, „ინ, როგორ ეუფლება მხატვარი ვირტუოზულ ტექნიკურ საშუალებებს“ — ეკითხულობთ შთაბეჭდილებათა წიგნში, რომელშიც გამოფენასთან ერთად ხელოვნების უდიდესი ტრადიციების მქონე ქვეყნები მოიარა.

თ. ჯაფარიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის განყოფილება. მისი პედაგოგები იყვნენ უ. ჯაფარიძე, ს. ქობულაძე, კ. სახაძე. სპეციალობით ფერმწერი, შემდგომ დაინტერესდა გამოყენებითი ხელოვნების ისეთი დარგით, როგორიც არის დეკორატიული ქსოვილები. პირველივე ნაბიჯებს წარმატება მოჰყვა და მას შემდეგ თ. ჯაფარიძე სისტემატიურად მონაწილეობს საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე. მის გობელენებში ვხედავთ როგორც ეროვნულ ტრადიციებზე, ისე თანამედროვე პრინციპებზე შესრულებულ კომპოზიციებს.

ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით მან შექმნა საინტერესო ნამუშევარი — „გობელენი ეროვნულ მოტივებზე“, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წელთან დაკავშირებით მოსკოვში გამოფენაზე 1982 წლის საუკეთესო ნამუშევრად აღიარეს. ასევე საინტერესოა გობელენი „შემოდგომა“. მხატვარი არც აქ ღალატობს ეროვნულ ტრადიციებს. მაგრამ ამავე დროს იგი ქმნის სრულიად განსხვავებულ, თანამედროვე ხასიათის გობელენსაც „სამყაროს საღუმლოებას“, რომლის ესკიზით მიიწვიეს შვეიცარიაში მსოფლიო ბიენალზე. ავტორი ხსენებულ პანოზე ასახავს XX საუკუნის დედამიწას, მთელი თავისი ტექნიკური თუ სულიერი ევოლუციით.

როგორც ფერმწერი, თ. ჯაფარიძე ნაყოფიერად მუშაობს სხვადასხვა ჟანრში. მისი ფერწერისათვის დამახასიათებელია სქელი, მსუყე მონასმები, ლაქების მაჟორული ჟღერადობა. მოცულობითი ფორმები გამოძერწილია ფერთა ურთიერთდამოკიდებულებით, ასეთია მისი „ქალი“, „ქალიშვილის პორტრეტი“, ნატურმორტები, კომპოზიციები „სამშობლო გელთან“, „სვანეთი“, „ზეიმი მთაში“, „სამი თაობა“...

მხატვარი არ იფარგლება ერთი რომელიმე დარგით. მისი ესკიზების მიხედვით არის შესრულებული საქართველოსა და სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქის შენობათა ინტერიერები, ფასადები.

ხელოვანი ორ ათეულ წელზე მეტია ერთგულად ემსახურება ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებას და კვლავაც ბევრს მოელის მისგან ჩვენი საზოგადოება.

**ი. ესვანჯია,**
**ხელოვნებათმცოდნე.**

**სურათზე:** თ. ჯაფარიძის ფერწერული ტილო „ბოგონა ყვავილით“.

## გასტროლები

# სტუმრად არიან უხუცესი თოჯინები

**თბილისის** ოფიცრის სახლში გასტროლებს მართავს კიევის თოჯინების თეატრი, რომელიც ჩვენი ქვეყნის თოჯინების თეატრებს შორის ერთ-ერთი უხუცესია. იგი 1927 წელს შეექმნა.

1940 წელს მოსკოვში გამართულ თოჯინების თეატრების საკავშირო დათვალიერებაში კიევის თოჯინების თეატრს მეორე ადგილი მიეკუთვნა, ხოლო 1953 წელს უკრაინის თოჯინების თეატრების დათვალიერებაში პირველი ადგილი მოიპოვა. ამრიგად, თეატრმა კარგად შერჩეული რეპერტუარით, მაღალი შემოქმედებითი კულტურითა და მხატვრული გემოვნებით მალე დამსახურა პოპულარობა და ნორჩი მაყურებლის დიდი სიყვარული. მაგრამ თეატრი მარტო ამით არ კმაყოფილდება. 1955 წელს თეატრის მოთავრმა რეჟისორმა, უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. სუმაროკოვმა უფროსებისათვის დადგა ვ. დიხოვინნის და მ. სლონიმსკის პიესა „სად არის ეს ქუჩა, სად არის ეს სახლი?“ მხატვარ რ. მარგოლინსა და მოქანდაკე თ. მაქსიმოვიჩის დეკორაციებითა და თოჯინებით. ამ სპექტაკლმა თავისი ორიგინალური სცენური ფორმით და ემოციური შესრულებით საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიქცია.

70-იანი წლებიდან დღემდე თეატრს სათავეში უდგას ღენნადი ბალანდის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტის თოჯინების თეატრის განყოფილების კურსდამთავრებული, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი იური სიკალო. მნიშვნელოვნად გაუჯობესდა და მრავალფეროვანი გახდა თეატრის რეპერტუარი, რასაც, ძირითადად, ხელი შეუწყო ადგილობრივი დრამატურგების — გ. უსაჩის, ე. ჩეპოვეცკის, ვ. დანილევიჩის, ი. მირსაკოვის, მ. ტუროვერის თანამეგობრობამ თეატრთან.

საბავშვო სპექტაკლებთან ერთად თეატრში კვლავ იდგმება სპექტაკლები უფროსებისათვის, რომელთა შორის აღსანიშნავია ნ. სტარიცკის „მაისის ღამე“, ნ. გოგოლის ნაწარმოების მიხედვით, ი. მტოკის „ღვთაებრივი კომედია“ (ახალი რედაქცია), ბ. კონსტანტინოვისა და ვ. რაცერის „იოსეფ შვეიკი ფრანც-იოსების წინააღმდეგ“ ი. ჰაშეკის მოტივებზე, ვ. მაიაკოვსკის „ბაღლინჯო“ და მასლოვის „სიყვარული... სიყვარული“ ბოკაჩოს „დეკამერონის“ მოტივებზე. ყველა ეს სპექტაკლი, რომელთა რეჟისორია ი. სიკალო, კიდევ ერთხელ ადასტურებს თეატრის შემოქმედებითს ზრდას.

თეატრალური კოლექტივის შემოქმედებითი სიმწიფის ერთგვარი გამოცდა იყო ექსპერიმენტული სპექტაკლი ყრმათათვის — ვ. დანილევიჩის და ი. სიკალოს „წითელი აფრები“, რომლითაც თეატრი მონაწილეობდა უკრაინის თეატრალური საზოგადოების თოჯინების თეატრების მეორე საზოგადოთშორისო ფესტივალში.

კიევის თოჯინების თეატრის გასტროლები 21 აპრილამდე გასტანს. საგასტროლო რეპერტუარშია ნორჩი მაყურებლისთვის გათვალისწინებული სპექტაკლები: ე. ჩეპოვეცკის „რკინის ბიჭუნა“, ე. ქუკოვსკისა და მ. ასტრახანის „პიფის თავგადასავალი“, ი. მირსაკოვისა და მ. ტუროვერის „გოჭი ჩოკი“, ხოლო უფროსებისთვის — „სიყვარული... სიყვარული“ და „ღვთაებრივი კომედია“.

თბილისელ მაყურებლებს ამ რამდენიმე სპექტაკლით გარკვეული წარმოდგენა შეექმნებათ თეატრის შემოქმედების შესაძლებლობებზე, მის დიაპაზონზე.

**მ. გოგოლაშვილი,**
**თეატრმცოდნე.**



**სურათზე:** სპექტაკლ „პიფის თავგადასავლის“ სცენა.

**ე. პეტროსიანის ფოტო (საინფორმაციო ფოტოქრონიკა).**

## სამკრთალდაჩრდილვა: ვინ აგებს კაცსუხს?

# ხულიგნური პარპაში უნდა აღიკვეთოს

**დიდი** დაკვირვება სულაც არ არის საჭირო ამ კატეგორიის ადამიანების გამოცნობისათვის. ისინი თავისი მოქმედებით და ფიზიონომიით ერთი შეხედვითვე იპყრობენ ყურადღებას: არავის არად აგდებენ, უპატივცემლოდ, უდიერად იქცევიან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, უმცროსი-უფროსი არ იციან, მათთვის სულ ერთია, განურჩეველია ბავშვი, ქალი, მოხუცი, რიგში წინ გაგიწვრებენ, რომ იტყვიან, გადაგაჯირგალებენ, ყოველგვარ ზნედაცვმულობას იკადრებენ. ასეთი საქციელედან ბოროტ ხულიგნობამდე ერთი ნაბიჯია. ასე იყო იმ დღესაც.

ბენზინის გასამართ სადგურებთან ყოველთვის რიგია, რადგან მარტო თბილისში 110 ათასზე მეტი სახელმწიფო და კერძო ავტომობილია. ამ ათიოდე დღის წინათ სასტუმრო „უშბას“ გვერდით მდებარე ბენზინგასამართ სადგურთან ჩვეულებრივად რიგი იდგა, ელოდებოდნენ თავის ჯერს ადამიანები. სადგურის წინა მხრიდან უკუსვლით ურიგოდ შემოვიდა „ჟიგული“, რომლის საჭესთან იჯდა მალხაზ ნიკოლოზის ძე მიქუტაშვილი. ამავე მანქანაში ისხდნენ მისი ამხანაგი ჯუანშერ ნოგორის ძე შურღაია და ჯერჯერობით დაუდგენელი რიგი ქალი. ავტომობილიდან გადმოვიდა ჯ. შურღაია, მივიდა ჩამომსხმელ ავზთან, ვითომც არაფერი, უკადნაგად აიღო ბენზინის ჩამოსასხმელი მილი და ოპერატორს უზრდელად გასძახა:

— შენ ეი, გაუშვი ბენზინი!

ბენზინის რიგში იდგა რკინიგზის № 2 საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში ვაჟა ალადაშვილი. იგი გადმოვიდა ავტომობილიდან და თავაზიანად უთხრა:

— თუ ძმა ხარ, ჩვენ რიგში ვდგეგვართ, შენ რატომ მიდიხარ ურიგოდ?

— ვის უბეიდავ მაგას, წადი შენი...

— კაცო, ურიგოდ შემოხვედი და კიდევ მე მაგინებ?

ჯ. შურღაიამ ხელი აუქნია და განაგრძო ბენზინის ჩასხმა და თან, რომ იტყვიან, ცხრასართულიანი გინებაც მიაყოლა.

ამ დროს მ. მიქუტაშვილი გადმოვიდა „ჟიგულიდან“, ვითომც აქ ჩხუბი არ მოხდესო და შუაში ჩადგა. გული მეცა, გაცოფდა ხულიგანი, უწმაწური სიტყვების კორიანტელი დააყენა, უეცრად გაიელვა მის ხელში დანამ...

— რას ელაპარაკები, მაგის... უკვე დაჭრილია, მანქანა დაჭიქე, გაიქეცი...

მართლაც მიქუტაშვილი მანქანით გაშორდა იქაურობას, ხოლო ხულიგანი ჯ. შურღაია ფეხით გაიქცა.

მუცელში სასიკვდილოდ დაჭრილი ვაჟა ალადაშვილი ერთ-ერთმა მოქალაქემ ჩასვა ავტომანქანაში და საავადმყოფოში წაიყვანა. მისი კოლეგების ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა. სასიკვდილოდ დაჭრილი ვაჟა ალადაშვილი რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ბოროტი ხულიგნობის ამბავს ბევრი უყურებდა, მაგრამ არავინ არ აღმოჩნდა, რომ კაცის სასიკვდილოდ გამმეტებელი აელგმა, მხოლოდ ეს იყო, — ვიღაცამ ტელეფონით დაურეკა მილიციას.

იცოდწენ „ჟიგულის“ ფერი და სახელმწიფო ნომერი. ჯ. შურღაია შორს როდი წასულიყო. ვითომც არაფერი მოძმდარიყოს, დიღმის მასივში თავის სახლთან დაეყენებია მანქანა, შიგ ბიჭები ჩაესვა და მ. მიქუტაშვილს ესაუბრებოდა. სწორედ ამ დროს დააკავა ბოროტმოქმედი მილიციამ.

ვინ არის, რა წარსული აქვს ჯუანშერ შურღაიას?

ასეთ ადამიანებს ახდენს ასკალონა, მაგრამ ერთი რამ არის საინტერესო, ისეთი ავტორიტეტული ხელმძღვანელობა როგორიც თერჯოლას განაგებს, როგორ არ აქცევს ყურადღებას ასეთ კაცს, რომელიც სახელმწიფოს ყვლეფს.

იმედია, გვესტუმრებით თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკითში, დაათვალიერებთ ასკალონას ორ სახლს, დაადგენთ, ვისი ხელშეწყობით აკეთებს ბატონი ასკალონი ყველაფერს“...

* * *

შეიძრა ქვეყანა, ამოძრავდა აპარატი, გადაიდო უამრავი საქმე. გამოირკვა რომ ასკალონ სარდიონის ძე ჯუბლაშვილი სამამულო ომის მონაწილეა, მეორე ჯგუფის ინვალიდი, იღებს პენსიას 77 მანეთს. ბოლო სამი წლის განმავლობაში რაისაბჭოს აღმასკომის ან სასოფლო საბჭოს აღმასკომის განანილებით საშინი მასალა საერთოდ არ მიუღია.

ზესტაფონის რაიკოოპერატივის ხე-ტყის და საშენ მასალათა სავაჭრო ბაზიდან მამა-შვილ კუბლაშვილებს, ყველა კანონის დაცვით, მართლაც აქვთ შეძენილი სხვადასხვა საშენი მასალა.

კუბლაშვილებს ორი სახლი არა აქვთ. საქმე ის გახლავთ, რომ პროექტის დარღვევით ამ სახლს სამივე მხრიდან აიგანი აქვს, ეს არის და ეს. ეს დაესო გულზე ისრად ვიღაც მეზობელს, თორემ ასკალონ კუბლაშვილის აიგნის გასაზომად გადამთიელი არავინ მოვიდოდა.

ამ მამაგანათლებულს ეს დაეწერა!

შეიკრიბებოდა აღმასკომი, განიხილავდა ბინათმშენებლობის წესების დარღვევის საკითხს და მიიღებდა სათანადო გადაწყვეტილებას, მაგრამ...

დადის ცოდი მოდგმის ბოროტი და ავყვა სოფელ-სოფელ, აწუხებს ხალხსა და ქვეყანას, დააქვს გული გესალი სავსე და ანთხევს, წამლავს სულს და გუნებას, ეჰ, ნეტა შეიძლებოდეს და „რესპუბლიკის სახელით“ ისეთი განაჩენი დაიგუგუნებდეს, ყბაღიას ყბა აუკრას, რომ გულბოროტს შხამი თვითონ ჩაქცეს!...

ასეთ განაჩენს ვინ არ შეხვდება სიხარულით!

**რეზო დვალიშვილი.**



# ავქცა და გულბოროტი

**რა იძნეგოდა** ჩვენი ცხოვრება, ყველა რომ ერთნაირად კარგი იყოს, „უკონფლიქტო დრამატურგიასავით“ მხოლოდ წარჩინებული და საუკეთესო ეჯახებოდეს ერთმანეთს?...

არც ტკი ვარგა მარტო ბულბულებით საკვლი და არც მდინარე მარტო კალმახუხვი.

ახლა არაფერი არ ხდება მეცნიერული კვლევისა და სოციოლოგიური გამოკვლევის გარეშე და არც ეს აზრია უარგუმენტო, ვინ არ იცის, რომ მტაცებელი ცოცხლობს წყალში, ტყეში და... ადამიანში. მაგრამ მტაცებელიც არის და მტაცებელიც, მელა სხვაა და მგელი სხვა!

მგელი გლეჯიაა და მტაცებელი, მელა — ჩუმჩუმა და გაიძვერა.

ჩემი მეზობლის ძაღლი გნიასა სახლიდან გაიქცა, ამბობენ, მისი პატრონი, მელიტონა ყიამყრალი, ბავშვებს, მეზობლებს, საქონელს და ყველას, ვისაც ჯობით და ქვით შეეძლო გამოპკიდებოდა „ძაღლისშვილოს“ ეძახდა. ეწყინა თურმე გნიასას, „ძაღლისშვილობა“ რა ამის სახსენებელია, სანამ ჩვენი მოდგმა ადამიანს არ დაუახლოვდა, ძაღლმა ღალატი არ იცოდაო. ადგა და, შეურაცხყოფილმა ძაღლმა თავს უშველა.

რა თქმა უნდა, სანამ დღე და ღამე არსებობს, ბოროტი და კეთილი იქნება.

ბოროტების ერთი ნაირსახეობა ანონიმური წერილის ავტორია.

ხოლო მეორე — ავყბა.

ანუ კაცი, რომელიც ყბას გაადებს და მხოლოდ სიავეს აფრქვევს. ეს ორი ტყუპისცალი განსაკუთრებით მაღალ ინსტანციებს ეტანება, და წერენ და წერენ... ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ.

რედაქციების, სამინისტროების და ადმინისტრაციული ორგანოების ანონიმური წერილების საქაღალდეებს თუ ჩაიკითხავ, რას არ ნახავ აქ, რას არ იტანს ქაღალდი!

ოთხი შვილის მამას ბინა ჩემზე ადრე რომ მისცეს, ვინმემ გაარკვიოს, რომ ამ ოთხი შვილიდან ორი სხვისია?

წაიკითხეთ, კარგად წაიკითხეთ მაგისი დისერტაცია, ან, უფრო სწორად, თვითონ წააკითხეთ, რადგან სხვისი დაწერილია!

ჩამოართვით საპენსიო ბარათი, ახლავე ჩამოართვით, თორემ მე უფრო მაღლა მივწერ... ვაცნობებ იქ!.. იქ, სადაც საჭიროა!.. ნახეთ მაგის პირადი საქმე, ამოქექეთ არქივები? ოო... არ გნებავთ, ხომ თავის შეწუხება, არქივში მტვერია... აბა, ისე როგორ გინდათ დაიცვათ პროლეტარიატის მონაპოვარი!

დაუკვირდით ნამორაძეს, მთელი ზაფხული რომ პამაკში წევს!

სრული საშშიროებაა, რომ ანონიმური წერილების წერა ზოგ-ზოგს მალე პროფესიად გადაექცევა.

„ანონიმკის“ წამკითხველი ც შავ დღეშია. ზოგი ისე ჰგავს მართალს, დაგაჯერებს, არ შეიძლება ყურად არ იღო, არ შეამოწმო, და... დადიან ინსპექტორები, რევიზორები, ინსტრუქტორები, გამომძიებლები, კონტროლიორები, დადიან ეზო-ეზო და კარდაკარ, დადიან არქივებსა და ინსპექციებში. იწერება ახსნა-განმარტებანი და დასკვნები.

ზუსტად შეიძლება გამოვითვალოთ, ერთ ანომიმური წერილის ავტორზე რამდენი კაცდღე იხარჯება, რამდენი ქაღალდი, რამდენი ბენზინი, რამდენი დრო... ნერვები? გუნებაგანწყობილება?

ვინ დაითვლის ამას, სად არის ხასიათის საზომი ერთეული?

მერე რა დიდია ანონიმური წერილის ავტორთა ამპლიტუდა, თითქმის უნიგნურიდან — პროფესორამდე...

დოცენტი ვნახე ერთი, ის რომ დაბადებულა, მის სოფელში, მღვდელსაც არ სცოდნია წერა-კითხვა, შევეკითხე სახელმწიფომ მოგიარა, გასწავლა, მეცნიერის მაღალ ტრიბუნაზე აგიყვანა რა „გეანონიმშიკება“, რითი ხარ უკმაყოფილო-მეთქი.

ამ წერა-კითხვის უცოდინარი მღვდლის მონათლულმა დოცენტმა ქვეყნის პატრონივით შემოიდგა თავზე ხელი და თქვა:

— აბა, თქვენი აზრით არავის არაფერი არ ვუთხრათ და არავის არაფერი არ ვკითხოთ, მივუშვათ სადავეები ყველას და ყველაფერს?... იკითხეთ, სად დადის ჩემი კოლეგის ცოლი, თვითონ არ იკითხება და თქვენ მაინც ჰკითხეთ!

ასეთ ადამიანებს ახდენს ასკალონა, მაგრამ ერთი რამ არის საინტერესო, ისეთი ავტორიტეტული ხელმძღვანელობა როგორიც თერჯოლას განაგებს, როგორ არ აქცევს ყურადღებას ასეთ კაცს, რომელიც სახელმწიფოს ყვლეფს.

იმედია, გვესტუმრებით თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკითში, დაათვალიერებთ ასკალონას ორ სახლს, დაადგენთ, ვისი ხელშეწყობით აკეთებს ბატონი ასკალონი ყველაფერს“...

* * *

შეიძრა ქვეყანა, ამოძრავდა აპარატი, გადაიდო უამრავი საქმე. გამოირკვა რომ ასკალონ სარდიონის ძე ჯუბლაშვილი სამამულო ომის მონაწილეა, მეორე ჯგუფის ინვალიდი, იღებს პენსიას 77 მანეთს. ბოლო სამი წლის განმავლობაში რაისაბჭოს აღმასკომის ან სასოფლო საბჭოს აღმასკომის განანილებით საშინი მასალა საერთოდ არ მიუღია.

ზესტაფონის რაიკოოპერატივის ხე-ტყის და საშენ მასალათა სავაჭრო ბაზიდან მამა-შვილ კუბლაშვილებს, ყველა კანონის დაცვით, მართლაც აქვთ შეძენილი სხვადასხვა საშენი მასალა.

კუბლაშვილებს ორი სახლი არა აქვთ. საქმე ის გახლავთ, რომ პროექტის დარღვევით ამ სახლს სამივე მხრიდან აიგანი აქვს, ეს არის და ეს. ეს დაესო გულზე ისრად ვიღაც მეზობელს, თორემ ასკალონ კუბლაშვილის აიგნის გასაზომად გადამთიელი არავინ მოვიდოდა.

ამ მამაგანათლებულს ეს დაეწერა!

შეიკრიბებოდა აღმასკომი, განიხილავდა ბინათმშენებლობის წესების დარღვევის საკითხს და მიიღებდა სათანადო გადაწყვეტილებას, მაგრამ...

დადის ცოდი მოდგმის ბოროტი და ავყვა სოფელ-სო